ცნობის ფურცელ

№ 2629 ორშაბათი, 4 ოქტომბერი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 262

...ზეთის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე- ...—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ...ლის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ...ის ქუჩაზე, № 27.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე მოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების შეადგის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი

29 ენკენისთვეს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბარბარე პავლეს ასული ზუბალაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ დები და შვილები. პანაშვიდი კვირას, 3 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. გამოასვენებენ თავის სადგომიდან, გრიბოედოვის ქ., № 20, ორშაბათს, 4 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, მიძინების რომის-კათოლიკეთა ეკკლესიაში, კათოლიკების ქუჩაზე. დაკრძალავენ კათოლიკეთა ახალ სასაფლაოზე.

(4—331—4)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა ხაიმპერ. თეატრის არტ.-ლ. დ. დონსკოისა.
ორშაბათს, 4 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „კ ა რ მ ე ნ" ოპერა 4 მოქ., მუს. ბიზესი.
...მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: პეტროვა-ზვანცევა, დონსკოი-ეიხენვალდი, ნიკიტსკაია, პეტროვა; ბ-ნნი დონსკოი, პოლუიანოვი, ზელინსკი.
...ლმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
...ქტ. „ბალ-მასკარიო". გამგე ი. ა. კელლერი.

ტ ფ ი [illegible] ს
...რძო საავადმყოფო
...ზონბალიძის და ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ [illegible] ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ი. ბაღარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½— ...ს.
ტ. მუდიანი.—შარისა, ყელისა და ცხვირისა ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
...ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერული ყოველდღე. 12—1 საათ.
...ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½ ...½ საათამდე.
ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა ...მკურნალობა ელექტრონით 12—1 ს.
ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და სა... ..., სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ზიმინი—შინაგანი და ბავშვებისა—1—2
მ. მოსიძე.—ქალისა, საბებიო და ბავშვე... და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. ... 1—2 საათამდე.
ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—2 საათ. ...ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორთო- ...ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. ...საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ვ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. ...შაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
...სა რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოდა საწოლი [illegible] ...ავადმყოფები [illegible] დღეში დღის ...მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
...: [illegible], ველიამინოვსკის ქუჩა, (კუკიის [illegible] ხიდი) სახლი აბრამოვისა, № ... ...ის ქუჩიდან-კი 34 ბ.
ტელეფონი № 274

ე ქ ი მ ი
ქ. ნ. თ ე თ რ ა ძ ე
...იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ...ბნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—5)

მ კ უ რ ნ ა ლ ი
მიხეილ გედევანიშვილი
...ებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
...ლის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ქუთაისში, ე ქ ი მ ი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
...ებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ..., სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—16)

კბილის ექიმი
ი. ზ. ძ ა ნ დ ე ლ ა ძ ე
...დაბრუნდა და განაახლა კბილის ავათმყოფთა მი... ...მიხაილოვის პროსპექტი, მანველოვის სახლში, ...30. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 ს. (30—293—25)

კბილის ექიმი
ელ. რ ო ზ ა ნ ო შ ვ ი ლ ი
...იღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ..., № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—15)

კბილის ექიმი
ალ. ხ ო ლ ო დ ა შ ვ ი ლ ი
გადავიდა გოლოვინის პროსპექტზე, მდივნის ...ში № 12, „კრუჟოკის" გვერდზე. მიიღებს ავადმყოფებს დილით 10—3 საათამდე, საღამოთი 5—7, ...ობით 9—12 საათამდე. (30—5.—27)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
...ღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—10—1-ლის.

პ ა ნ ს ი ო ნ ი
ელისაბედის ქუჩა. № 71 ისარლოვისეული სახლ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
ფირზაშვილისა.
მიიღებიან ყმაწვილები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემზომო სასწავლებელში. (150—218—66)

ახალი ამბავი

◆ გუშინ-წინ, 3 ოქტომბერს, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის ოცდა ათი მოსწავლე საექსკურსიოდ წავიდა ბათუმსა და ჩაქვს.

◆ ოფიციალურის ცნობებით, 29 სექტემბერს ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა 11 კაცი, გარდაცვლილა 2 კაცი.

◆ როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ხვალ, 5 ოქტომბერს, ტფილისის სამისიონერო ეკკლესიასთან ანდრეევის ქუჩაზე გაიმართება პატრიოტული საღამო. საღამოზე, როგორც სწერენ, იმღერებენ სასულიეროსა და პატრიოტულ სიმღერებს, წაიკითხავენ ლექციებს რუსეთ-იაპონიის ომის შესახებ და სხვა.

◆ ჩვენ გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, რომ 19 სექტემბერს, რკინის გზას სადგურ ჩაქვს მახლობლად, მატარებელი დაიმტვრა და ორთქლ-მავალი კი ზღვაში გადავარდა. ამიერ-კავკასიის რკინის გზას მოხელენი [illegible] ეცადნენ და ვერ ამოიღეს ორთქლ-მავალი ზღვიდან. ეხლა რკინის გზის უფროსმა სთხოვა ბათუმის პორტის უფროსს, დაგვეხმარეთ და მცურავ კრანით ამოიღეთ ორთქლმავალი ზღვიდან და, თუ კრანი წახდება, რკინის გზა ზღავსო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

1 ოქტომბერი

ტოკიო („რეიტერი"). წუხელის მიღებულ ოფიციალურ მოხსენებაში იაპონელების გამარჯვების ამბავია აწერილი. მარჯვენა არმიის (კუროკის) მარჯვენა რაზმს ხაოსენლინთან რუსები დიდის ჯარით დაეცნენ, მაგრამ იაპონელებს მაშველი ჯარი მიუვიდათ და თითონვე მიიტანეს რუსებზე იერიში. მარჯვენა არმიის შუა რაზს ამ ჟამად იერიში მიაქვს რუსების ძლიერ რაზმზე. ამავე დროს მარცხენა არმიის (გენერალ ოკუს) მარჯვენა ფრთამ გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ შოტაკუს ჩრდილოეთით სიმაღლე დაიჭირა. ეს სიმაღლე ყელია რუსების პოზიციებისა. შუა არმია (გენ. ნოძუს) გამარჯვებით განაგრძობს რუსებზე მიტანილ იერიშს. ამ არმიამ ხუჩიაკუჩიაძის და მანჩიაფუს ჩრდილოეთით სიმაღლეები აიღო. მარცხენა არმიის შუა რაზმს იერიში მიაქვს შახეპუზე. ამავე არმიის მარჯვენა რაზმს ხუანხუატენზე მიაქვს იერიში. მზის ჩასვლის შემდეგ მარცხენა რაზმის მარჯვენა ფრთის ერთმა ნაწილმა ლიუჩინპუზე მიიტანა იერიში, მეორე ნაწილმა ვანჩიანგუაძი აიღო. მარცხენა არმიის მარცხენა რაზმმა ხეილინპიუძსა და ფუჩატანს შუა ადგილები დაიჭირა. იაპონელებს განუწყვეტლივ მოსდით მაშველი ჯარი იანტაისთან.

ტოკიო, 1 ოქტომბერი. ოიამამ დაწვრილებითი მოხსენება გამოგზავნა 29 და 30 სექტემბერს მომხდარ ბრძოლის შესახებ. რუსებმა 29 სექტემბერს ბენსიხუსაკენ რამდენჯერმე იერიში მოიტანეს, მაგრამ იაპონელებმა უკუ აგდეს. ნაშუადღევის 5 საათზე რუსებმა პირველად იწყეს უკან დახევა. იაპონელებმა იერიში მიიტანეს. 30 სექტემბერს დილით ადრე დიდი ცხენოსანი რაზმი პრინც კანინის უფროსობით რუსების მარცხენა ფრთის უკანა რაზმს გვერდიდან უვლიდა და ამით იაპონელებს მოქმედება გაუადვილა. მარჯვენა არმიის მარჯვენა რაზმი ამ ჟამად იერიშით მიდის რუსებზე ხაოსენლინთან. ამავე არმიის შუა რაზმმა ლიენხუანჩანის მიდამოებში სიმაღლეები აიღო. ამავე არმიის მარცხენა რაზმის მარჯვენა ფრთის ამ ჟამად იერიში მიაქვს უკან დარჩენილ რუსის ჯარზე, ჩაომაკუს ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებთან. მარჯვენა არმიის მოქმედება სასურველის გამარჯვებით არ მიდის, რადგან ადგილის მდებარეობა ხელს უშლის. შუა არმიის მარჯვენა რაზმმა 10 საათზე ხუჩიაკუნჩიანძის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეებისაკენ გაილაშქრა. 2 საათზე არტილერიამ უკან დახევა იწყო. მარცხენა არმიის მარჯვენა რაზმმა ფანჩაპუ აიღო. ამ რაზმს იერიში მიაქვს ხუნშატანს ახლო. როგორ მიდის ბრძოლის საქმე, არ ვიცით. ჩენხუანტიანს ახლო რუსის არტილერიის რამდენიმე ბატარეია წინააღმდეგობას გვიწევს. მარცხენა არმიის მარჯვენა ფრთის იერიში მიაქვს რუსებზე ხუნინპოსთან. მაშველი ჯარი განუწყვეტლივ მოდის იანტაიში.

ჩიფუ, 2 ოქტომბერი („რეიტერი"). იაპონელი, რომელსაც საუბარი ჰქონდა სამხედრო უფროსებთან ნიუ-ჩუანში, იუწყება, რომ იაპონელები ტელინთან ჰფიქრობენ ომის დასრულებას, სადაც დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. იაპონელები ჰფიქრობენ, რომ რუსები მუკდენთან სერიოზულ წინააღმდეგობას არ გაუწევენ იმათ.

ხარბინი (საკუთ. კორ.). ხმებია, 1 ოქტომბერს გამწვავებული ბრძოლა იყოო. ყველაზე უფრო ძნელ მდგომარეობაში მე-17 კორპუსი იყო, რომელმაც დროზე საშველად მოსულ მე-6 კორპუსის წყალობით შეინარჩუნა ყველა დაჭერილი პოზიცია. ჩვენმა ჯარებმა ექვსჯერ უკუ-აქციეს იერიშით მოსული მტერი. იაპონელთა არტილერია სამჯერ იძულებული გახდა სროლა შეეწყვიტა. ჩვენ ალბად დიდი ზარალი გვაქვს. 1 ოქტომბერს საღამოთი დაჭრილები მოვიდნენ. ბრძოლა არ შეწყვეტილა.—ხმებია, იაპონელთა არმიას სერიოზულად ამარცხებენ რუსებიო. მოვიდა დონის ყაზახების პირველი რაზმი.

მოსკოვი. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოსული არტილერიის პორუჩიკი შჩერბოვიჩ-ვეჩორ ამბობს: „როცა იაპონელები საომრად ემზადებოდნენ, მანჯურიის ბევრ სოფელში სამხედრო მასალის ფარული საწყობები გამართეს, რომელსაც ყაზახებმა მიაგნეს სურსათის ძებნის დროს. შჩერბოვიჩ-ვეჩორი დაესწრო გენერალის კელლერის გარდაცვალებას. 15 წუთის წინ შჩერბოვიჩ-ვეჩორმა სალდათი გაუგზავნა კელლერს და გააფრთხილა, იაპონელებმა შეგამჩნიესო. სიკვდილის წინ კელლერმა ერთად-ერთი სიტყვა სთქვა: „გადაიკით"... იანზელინის უღელ-ტეხილზე რუსის ჯარი იმდენად დაზარალდა, რომ ერთ ზარბაზანთან მხოლოდ 4 კაცი დარჩა, მეორესთან-კი ერთად-ერთი. დაჭრილი შტაბს-კაპიტანი კასტროვი [illegible] კოვში მოსული შჩერბოვიჩ-ვეჩორის [illegible], რომელიც მოწყალების დად იყო, ამბობს: „ჩვენ საავადმყოფოში ერთი სალდათი იყო, რომელიც იაპონელებმა აწვალეს, [illegible] ხანჯალს ურიცენ და თავის კანი გაუხვლიტეს".

3 ოქტომბერი

ტოკიო, 2 ოქტომბერი („რეიტ... როგორც გენერალ ოკუს მოხსენ... სჩანს, 27, 28 და 29 სექტემბერს [illegible] იმის ჯარში მოკლულა 4 და დაჭრილა [illegible] აფიცერი. 2 აფიცერიც უკვალოდ დაკარგულა. ოიამას ანგარიშით, რუსებს მოკლული და დაჭრილი ჰყავთ ოც-და-ათი ათასი კაცი. ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა, მაგრამ რუსები უკან იხევენ.

ლონდონი („რეიტერი"). ოკუს ჯარის მთავარ სადგომიდან იუწყებიან (ტარიღის აღუნიშვნელად), რომ, როგორც მარცხენა ჯარის დივიზიის უფროსთა მოხსენებიდან გამოირკვა, ამ ჯარის გუშინდელი გამარჯვება უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე წინად ფიქრობდნენ. როდესაც რუსებმა უკან დახევა დაიწყეს, იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს ოცდა ოთხი ზარბაზანი და მრავალ სხვა იარაღი. კონტრ-იერიშების დროს რუსებს ძალიან დიდი ზარალი მოუვიდათ. იაპონელებს ბევრად ნაკლები ზარალი მოუ...

იაპონიის საელჩო აცხადებს ოიამას [illegible] სენებას 1 ოქტომბრის ბრძოლის შე... იაპონელთა ერთი რაზმი, პრინცის კ... უფროსობით, იბრძვის ტაიძიხეს მარჯ... ნაპირზე, ბენსიხუს აღმოსავლეთით, ამ ... ლიდან 7 მილის მანძილზე. იაპონელები იერიშით მიდიან და მთელ ფრონტზე წინ მიიწევენ. იაპონელთა მარცხენა ჯარმა [illegible] ჩაიგდო ხელთ რუსის ათი ზარბაზანი.

ნიუ-იორკი („რეიტერი"). ამერიკის პეტერბურგელმა ელჩმა, რომელიც პეტერ... ზიდან ნიუ-იორკს წავიდა, სთქვა, რომ რუსეთში, ომის მიუხედავად, სრული სიწყნარეა. ყველგან, განსაკუთრებით პეტერბურგში, ხალხი ნდობით უყურებს მთავრობას და ერთგულია ხელმწიფისა. ომი ნაკლებად მოქმედებს რუსეთის ეკონომიურ მხარეზე. რუსეთის ფინანსებს, ელჩის სიტყვით, შეუძლიანთ დააკმაყოფილონ ყველა აწმყო და მომავალი მოთხოვნილება. ელჩმა განაცხადა, რუსეთსა და ამერიკას კარგი ურთი-ერთობა აქვთო.

ჩიფუ („რეიტერი"). 29 სექტემბერს ნაშუადღევის ოთხ საათიდან დაწყებული 30 სექტემბრის ოთხ საათამდე, როდესაც ეს დეპეშა გამოიგზავნა, იაპონელები ყუმბარებს უშენდნენ პორტ-არტურს. ამასთან რამდენჯერმე ხმელეთიდან იერიში მიიტანეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

2 ოქტომბერი

ტოკიო, 2 ოქტომბერი. იმპერატორის საბჭომ მოხსენება მიიღო მარშალ ოიამას მთავარ სადგომიდან: დღეს დი... იაპონელების მარცხენა და შუა არმ... კუსა და ნოძუს არმიები) მდინარე [illegible] ავიდნენ და რუსები მდინარე ხუნეს მა... ნაპირისაკენ განდევნეს. რუსის არმიის მარცხენა ფრთა მუკდენისაკენ იხევს ფუშუნის გზაზე. დღეს იაპონელები, რომლებსაც პრინცი კატოხიტო მიეშველათ, ვუტაოხაძის მიდამოებში რუსებს შეებრძოლნენ. პრინცი კატოხიტო მდინარე ტაიძიხედან გამოსული მოვიდა ვუტაოხოძიაში. მარჯვენა არმიის (კუროკის არმიის) პირველმა რაზმმა წინ წაიწია. იაპონელები მეტად დიდ მანძილზე იბრძვიან, მაგ... შუა ჯარის მარჯვენა რაზმი. [illegible] დილიდან დაწყებული, მარცხენა არმიამ შახეპუსთან [illegible] პოზიციები დაიჭირა. [illegible] რუსებმა [illegible] სცადეს, მაგრამ იაპონელებმა ეს იერიში მო...

ლონდონი. 2 ოქტომბერი. [illegible] საელჩომ ტოკიოდან მიღებული [illegible] დეპეშა გამოაცხადა: მარშალ... იუწყება: პრინც კანინის რაზმმა [illegible] მდინარე ტაიძახეს მარ... [illegible]

ჯის წინა და ყველგან იერიში მიაქვს რუსზე. მარცხენა არმიამ 10 ზარბაზანი ჩაიგხელში.

ბერლინი. აქ ცნობა მიიღეს: იტალიურ ზეთებს ატყობინებენ გენ. ოკუს მთავარ დგომიდან: რუსის ოთხმა დივიზიამ ას თხმეტ ზარბაზნით კუროკის მარჯვენა ფრთეზე მიიტანა იერიში. რუსის სხვა რაზმი გენ. ოკუსა და ნოძუს არმიებს დაუახლოვდნენ. რუსები კუროკის არმიას გზის [illegible]რის უპირობდნენ, მაგრამ კუროკიმ უკან [illegible]ია.

ჯანშიანი, 1 ოქტომბერი. ხუთი დღეა [illegible] ბრძოლაა. დღეს სასტიკად გამწვავდა ბრძოლა. იაპონელებმა უმთავრესი იერიში მიიტანეს ჩვენ მარჯვენა ფრთეზე, რომელსაც ათარებულ ზარბაზნებიდან დაუშინეს ყუმბარები. ჩვენი ჯარი იბრძვის და ამავე დროს გროვდება უმთავრესს პოზიციებზე მუკდენთან. თუმცა ბრძოლა დიდ ხანს გაგრძელდა, დიდ-ძალი ჯარი იღებს მონაწილეობას და იაპონელები თავ-გამოდებით იბრძვიან, მაგრამ შედეგი მაინც შეიძლება გამოირკვეს მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ. მოკლული და დაჭრილი ძალიან ბევრია.

ხარბინი, 2 ოქტომბერი. 30 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ბრძოლა ჯერ არ იყო შეწყვეტილი. ჩვენმა ჯარმა მარჯვეთ მოუარა იპონელთა მარჯვენა ფრთეს. კუროკის ჯარის პოზიციების ცხარე იერიშის შემდეგ ჩვენმა რაზმმა განდევნა იაპონელები და დაიჭირა ტულინის უღელტეხილი. გენერალი რენენკამფი უფრო შორს წავიდა, თითქმის უკანიდან მოექცა იაპონელებს და დაიჭირა ფისხუანჩენის გზა. იერიშები მეტად ცხარე იყო. რამდენჯერმე საქმე შტიკებამდე მივიდა. ფერდობები იაპონელთა გვამებით მოიფინა. უფრო ძლიერი ბრძოლა იყო შილინთან. ძალიან თვალ საჩინოდ დაზარალდა მეჩკიდმეტე კორპუსი. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ დაახლოვებით თხუთმეტი ათას კაცამდეა.

ვლადივოსტოკი, 2 ოქტომბერი. პორტ-არტურიდან იუწყებიან: თუმცა იაპონელთა საალყო არტილერია ბევრსა სცდილობს, მაგრამ თვალსაჩინო ზიანი მაინც ვერ მიაყენა გემებს, საწყობებს და, საზოგადოდ, სახაზინო შენობებს. მეციხოვნეთ ბლომად აქვთ საომარი მასალა და სურსათი, ამიტომ აზრადაც არ მისდით დამორჩილება. ჯარი კარგ გუნებაზეა.

პეტერბურგი, 2 ოქტომბერი. ხელმწიფე იმპერატორმა 1 ოქტომბერს კეთილ ინება და უმაღლესად ბრძანა: სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც მობილიზაციის რაიონის გარეშე სცხოვრობენ, უნდა გაწვეულ იქნან სამსახურში იმ ადგილას, სადაც ისინი დროებით ან ნიადაგ იმყოფებიან, იმ მცხოვრებლებთან ერთად, რომელთაც იწვევენ იმ სამობილიზაციო მაზრებიდან, რომლებიდანაც ზემოაღნიშნულნი სათადარიგო ჯარის კაცნი წავიდნენ მობილიზაციის გამოცხადებამდის ორი კვირის წინად. უკანასკნელნი შემდეგ უნდა გასინჯონ ადგილობრივ სამხედრო საკრებულო[illegible]ი და, თუ გამოდგნენ სამსახურ[illegible] მიიღონ სამხედრო ნაწილებში. [illegible] ეს სათადარიგო ჯარის კაცნი მობილიზაციის დასრულების შემდეგ გამოცხადდებიან, ან აღმოჩნდებიან, უნდა გაგზავნილ იქნან ბატარეების სათადარიგო ჯარის კაცებად, ჯარის შესავსებად ან „ნესტროევოი კამანდებ"-ში ჩასარიცხავად, იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ მობილიზაციის დროს ჯარის საჭირო რიცხვი იქნა გაწვეული.

პეტერბურგი, 2 ოქტომბერი. ოფიციალური ცნობა. 19 სექტემბერს დაბეჭდილი იყო დეპეშა ადესიდან იმის შესახებ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა 17 სექტემბერს, ჯარის დათვალიერების დროს, ყოვლად მოწყალედ ბრძანა, გაანთავისუფლონ ომში გაგზავნისაგან ყველა ის ჯარის კაცნი, რომელთაც 1887, 1888 და 1889 წელს დაუსრულებიათ სამსახური და ოჯახის პატრონნი, რომელთაც 3 [illegible]ზე მეტი ჰყავთ. ეს ცნობა სისწორით [illegible] გადაცემული. მ[illegible] უდიდებულესო[illegible] ინება და ბ[illegible]ნა, უფრო ახალგა[illegible] ოჯახის პატრონი სათადარიგო ჯარის კაცნი გაგზავნონ შორეულ აღმოსავლეთში, იმ სათადარიგო ჯარში კი, რომელიც ადგილობრივ რჩება, უფრო ხნიერნი და დიდის ოჯახის პატრონები მიიღონ და ამ ბრძანების მიხედვით ჯარის სხვა-და-სხვა ნაწილებმა უნდა გაუცვალონ ერთმანეთს ჯარის კაცნი, რაიცა კიდევაც ასრულებულ იქნა. მობილიზაციის დროს სამსახურში მიღების შესახებ არსებობს უმაღლესად მოწონებული განკარგულება, მიმდინარე წლის 24 აგვისტოს გამოცემული.

პეტერბურგი. კუნძულ სახალინიდან იუწყებიან: აქ სიწყნარეა; კარგი ამინდი დადგა. ალექსანდროვსკი პოსტში ივერიის წითელ ჯვრის რაზმი მივიდა. ეს რაზმი დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა დააარსა კუნძულ სახალინის მეომრებისათვის.

ტოკიო, 2 ოქტომბერი. ოფიციალური მოხსენება გამოაცხადეს ახალ ბრძოლის შესახებ, 27 სექტემბრიდან დაწყებული, ვიდრე 1 ოქტომბრამდე. მოხსენებაში ნათქვამია, რომ იაპონელებმა ყველგან ძალზე დაამარცხეს რუსები, დიდი ზარალი მისცეს და მდინარე ხუნხეს მარცხენა ნაპირისაკენ განდევნეს; რამდენიმე ასი კაცი ტყვედ დაიჭირეს, იაპონელებს შემდეგი ზარალი მოუვიდათ: 15 აფიცერი მოუკლეს, 46 აფიცერი დაუჭრეს, 1250 სალდათი მოუკლეს და დაუჭრეს.

ბერლინი, 2 ოქტომბერი. „ლოკალ ანცაიგერ"-ს ატყობინებენ ტოკიოდან: აქ ცნობა მიიღეს, რუსები ყველგან მუკდენისაკენ იხევენ; რუსებს 10 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ჰფიქრობენ, უმთავრესი ბრძოლა გათავდაო.

პარიზი, 2 ოქტომბერი. პორტ-არტურში დაღუპილ საფრანგეთის სამხედრო აგენტის ძმამ „არმე მარინი"-ს რედაქტორობას თავი დაანება, რომ შორეულ აღმოსავლეთში წავიდეს დაკარგულ ძმის მოსაძებნად. იმის აზრით, ნავი, რომელზედაც აგენტი იყო, ხუნხუზებს ჩაუვარდათ ხელთ, ან იაპონელთა კრეისერი, რომელზედაც ის იყო, რუსებმა ჩასძირეს.

პეტერბურგი. იაპონელთა შტურმის დროს 6-დან 10 სექტემბრამდე, მამაცობისა და ვაჟკაცობისათვის ლეიტენანტ პოდგურსკის ებოძა ორდენი გიორგის მე-4 ხარისხისა.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 ოქტომბერი

მოსკოვი. 2 ოქტომბერი. მოასვენეს გვამი პოლკოვნიკის ოზეროვსკისა—აღმოსავლეთ ციმბირის პოლკის უფროსისა, რომელიც გადაიცვალა ლიაოიანის ბრძოლის დროს მიღებულ ჭრილობისაგან. კანსვენებულს ხვალ დაასაფლავებს სამოგიტის პოლკი, სადაც იგი მსახურებდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

3 ოქტომბერი

სამარა. 3 ოქტომბერს სამარის გუბერნატორმა გოფმეისტერმა ა. ს. ბრიანჩანინოვმა მიიღო შემდეგი დეპეშა ნიკოლსკი-უსურიისკიდან: ლიაოიანთან ბრძოლის შემდეგ ჩვენ ერთბაშად მოგვაყენეს 200 აფიცერი, თავისუფალი ადგილი კი 100 იყო. რაკი ვიცოდი, რომ სამარის საავადმყოფოები კარგად არის მოწყობილი, მივანდე გოლიშევსკის ასი ადგილი, ჯარის კაცებისათვის მომზადებული, გადაეკეთებინა სამოცდა ათი აფიცრისათვის. მინდობილობა აასრულეს დიდის თანაგრძნობით, უმეტესად დებმა, რომლებმაც ღამე იმუშავეს და სამაგალითოდ მოაწყეს საავადმყოფო. ყველა აფიცრებისა და ჯარის კაცთაგან მოგვდის მხურვალე მადლობა სამარის საავადმყოფოში მოვლისა და შენახვისათვის. ბედნიერი ვარ გაუწყოთ ეს. ამას დავუმატებ, რომ ბევრში სამარის რაზმი მაგალითს უჩვენებს სხვებს. გამოუთქმელი ქების ღირსნი არიან მოწყალე დანი. მთავარ-რწმუნებული თავადი ვასილჩიკოვი.

ტოკიო. 3 ოქტომბერი. კუროკისა და ნოძუს ცენტრალურმა არმიებმა მიაღწიეს წინადვე აღნიშნულ ადგილებს.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშა გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინისა, 2 ოქტომბერს გამოგზავნილი: „30 სექტემბერს ღამით, იაპონელები დიდის ჯარით დაეცნენ მდინარე შახეზე, მანდარინის დიდ გზაზე გამაგრებულ კორპუსს; რამდენიმე იერიში მოიგერია კორპუსმა, მაგრამ იაპონელებმა უკანასკნელ იერიშის დროს გაიმარჯვეს და ამ კორპუსის ცენტრი (შუა რაზმი) გაარღვიეს. ამავე დროს აქვე მარჯვენა ფრთეზედაც გაძლიერდა ბრძოლა. რადგან იაპონელებს ყველა ჩვენი პოზიციის ცენტრის გარღვევა შეეძლოთ და ამით ჩვენი ჯარი ცუდ მდგომარეობაში ჩავარდებოდა და უკან დახევა მოუნდებოდა, ამიტომ მანდარინის გზაზე მდგომ ჯარს ხელად რამდენიმე ბატალიონი მივაშველე. ამ ბატალიონების დახმარებით ჩვენი ჯარი იერიშით მივიდა და სოფელი შახეპუ და წინანდელი პოზიციები ხელ-ახლად დაიჭირა. იაპონელებმაც სარეზერვო ჯარი მოიშველიეს და ხელ-ახლად გაგვდევნეს შახეპუდან; მაშინ ჩემი რეზერვი გავგზავნე იქითკენ. ჩვენმა ჯარმა ხელ-ახლად მიიტანა იერიში და გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ ხელ-ახლად აიღო სოფელი და იაპონელები ორის ვერსის მანძილზე განდევნა ამ სოფლიდან. ჩვენი მარჯვენა ფრთე ერთ ხანს დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი: იქ მდგომ ჯარზე იაპონელებმა წინიდან მოიტანეს იერიში და მარჯვენა ფრთესაც გვერდიდან მოუნდომეს შემოვლა. ჩვენის რაზმის უფროსმა უკან მდგომი ჯარი წინ გადაიყვანა და იაპონელებზე ფრთიდან იერიში მიიტანა; რამდენიმე სოფელი ავიღეთ და ჩვენმა მარჯვენა ფრთემ თავისი პოზიციები შეინარჩუნა მდინარე შახეზე. რადგან ჩვენი ცენტრი (შუა ჯარი) მეტად წინ იდგა დანარჩენ ჩვენ ჯარზე, ამიტომ ამ ჯარისათვის წინადვე არჩეული და გამაგრებული გვქონდა პოზიციები მარჯვენა ფრთეს გასწვრივ. მედგარ ბრძოლის შემდეგ ჩვენი ჯარი ამ პოზიციებზე გადავიდა. მეოთხე დღეა, რაც ჯარი იბრძვის. ბევრ პოლკს სამს ღამეს არა სძინებია, მით მაინც მე მტკიცე იმედი მაქვს, რომ კიდევ შეუძლიანთ ბრძოლა. იაპონელებს, ალბად, დიდი ზარალი მოუვიდოდათ. 1 ოქტომბერს ღამემ დინჯად გაიარა. 2 ოქტომბერს დილის 9 საათამდე შევნიშნეთ, რომ იაპონელების რაზმები ჩვენის პოზიციებისაკენ მიდიოდნენ მანდარინის დიდ გზაზე. ჩვენმა ბატარეებმა ზარბაზნები დაუშინეს ამ რაზმებს. ჩვენის მარცხენა ფრთეს უფროსისაგან მოხსენება მივიღე: იაპონელებს აქ ჯარი ემატებათო. როგორც ლიაოიანთან მოხდა, ისე აქაც გუშინ გაძლიერებულ ზარბაზნის სროლისაგან დიდმა წვიმამ დაუშო, გზები სულ წაახდინა, მდინარეები ადიდდა. ჯარს წინანდებურად ნაბრძანები აქვს, მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს. ამ წამს მოხსენება მივიღე, იაპონელების რაზმები რკინის გზაზე გადადიან და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიემართებიან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგ[illegible]

2 ოქტომბერი

ბერლინი, 2 ოქტომბერს გარდაიცვალა ზიდნიცის სასახლეში საქსონიის მეფე. ტახტზე ავიდა ახალი მეფე ფრიდრიხ ავგუსტ მე-III.

დრეზდენი. იმპერატორმა ვილჰელმმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ახალ მე[illegible]ს, რომელშიაც ამბობს: „მეფე სამშობლოს შეერთების დიდებულ დროის ერთი დამსწრეთაგანი იყოო".

3 ოქტომბერი

სტამბოლი. შეთანხმებულმა სახელმწიფოებმა წინადადება მისცეს დიდ ვეზირს განსაზღვროს უფლებანი იმ ევროპიელ აფიცრებისა, რომელნიც მაკედონიის ჟანდარმერიაში ახლად შევიდნენ. დიდი ვეზირი პირდაპირ პასუხს არ იძლევა, რადგან სულთანი ამბობს, საჭირო არ არის აფიცრების რიცხვის გადიდებაო.

ნიუ-იორკი. კოლორადოში მსწრაფლ-მავალი მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. ამბობენ, 16 მოკლულია და 20 დაჭრილიაო.

სოფია, 2 ოქტომბერი. აქაური მცოდნე წრეები ამბობენ, რომ სერბიის მეფე პეტრე 15 სექტემბერს მოვა, როდესაც საერო კრება დაიწყება. მეფე დაესწრება კრებას.—სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით პორტამ თანხმობა განაცხადა, ადრიანოპოლის ვილაეტის ბულგარელ ემიგრანტები დაბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე განსაკუთრებულ კომისიის ზედამხედველობით.

ვენა. ბელგრადიდან მიღებულ ცნობებით, მეფე პეტრემ საბოლოოდ გადასწყვიტა ბელგრადში მგზავრობა.

არხანგელსკი. დასრულდა კრება ადგი ბრივ მოღვაწეთ და ნა[illegible] წარმომადგე თა; თავმჯდომარეობდა გუბერნატორი. კრ უნდა განეხილა პომორიისა, მურმანისა და პ რის მხრის შესახებ საკითხები. რვა სხდომ განიხილეს 18 საკითხი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადა

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საა ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (1 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშ 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ [illegible] ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 შუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზ № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ. გზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 108 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.),

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილ 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღა 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 7 წ. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 4 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დ 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 2 (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნა დღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

ზორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. (2 ს. 28 წ.).

განცხადებან

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს.-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელ
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ., სა
5—7 საათ. (30—3512—



СѢДЕЛЬ
СПЕЦІАЛЬ
Безъ конкуренціи
продаются всево можн. сѣ
მიხაილოვის პრ., სახლი ა ვისა, № 92, საზაფხულო ს ნის ახლოს. (წ.—17

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესო პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელ რველობის ქვეშ. სამკურნალოში წოლია შინაგან, ნერვებისა, საზ დედათა და თვალით ავადმყოფთათ ბიარეთა განყოფილებით და ქიმი კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტ გა დებ სენით და სულით ავადმყ კურნალობ არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. цензурою — октября 1904 г. ელექტრონის სტამბა „წიგნების გამომც. „ჰერმეს. ამხ—ის. Электроп. „Труд. Изд. Т—ва